ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 32.19.1158

„26" ნოემბერი 2012 წ.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისის მერიას №07/152968-1 და 01 ნოემბრის №07/152968-1 განცხადებებით მომართა შპს „მარუხი 2008"–ის დირექტორმა გივი ნადაშვილმა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქ. №15-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №01.14.11.058.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადება 2014 წლის 1 მაისამდე და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2014 წლის 1 მაისამდე გადავადების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 17[1] მუხლის შესაბამისად ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქ. №15-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „მარუხი 2008"–თან მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მარუხი 2008"–ის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2014 წლის 1 მაისამდე გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს შპს „მარუხი 2008"–თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „მარუხი 2008"–ის მიერ ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადავადებას 2014 წლის 1 მაისამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს შენობა–ნაგებობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მშენებლობის დასრულება და არაუგვიანეს 2014 წლის 1 მაისისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და შპს „მარუხი 2008"–ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს (არისი ბოჭოიძე).

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე–მერს) დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მერი მოადგილე დავით ალავიძე



მშენებლობის კალენდარული გრაფიკი შედგენილია ქალაქ

თბილისის მთავრობის დადგენილების № 32.19.1158

გაცემული 2012 წლის 26 ნოემბრის მიხედვით. კერძოდ

გრაფიკი გაწერილია 14 თვით ე.ი. 2014 წლის 1 მაისამდე

ამასთან ერთად აღნიშნული დადგენილების და მერიის

არქიტექტურის სამსახურის იურიდიულ განყოფილებასთან შეთანხმებით,

კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის ატვირთვა აღარ არის საჭირო